სსიპ "საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"

ანგარიში
2015

სარჩევი

1. შესავალი

2. ტესტირების მიმართულება 4
   2.1. ტესტის შექმნის სამსახური
   2.2. ტესტირების კოორდინაციის სამსახური

3. ტრენინგების მიმართულება 9
   3.1. იურიდიული ტრენინგების სამსახური
   3.2. სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახური
   3.3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების ტრენინგების სამსახური
   3.4. ფინანსური მიმართულების ტრენინგების სამსახური
   3.5. განხორციელებული პროექტები

4. ყვარლის სასწავლო ცენტრი 38

5. პროექტი ,,50 საჯარო მოხელე“ 41

შესავალი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელიც საქმიანობას ახორციელებს, იუსტიციის მინისტრის, 2015 წლის 28 იანვრის N56 ბრძანების საფუძველზე.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიზანია, საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა, სასწავლო პროგრამების განხორციელებით, ასევე, სამინისტროს, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა დაინტერესებული პირების ორგანიზაციული განვითარების, მართვისა და მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა.

2015 წელს იუსტიციის სასწავლო ცენტრის სასწავლო მიზნით განხორციელებულ ღონისძიებაში ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის **4968** წარმომადგენელი (371 სასწავლო ჯგუფი), ხოლო ტესტირება გაიარა - **20 498** კანდიდატმა. სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსს 2015 წელს ჰყავდა **3383** სტუმარი.

ამავე დროს, 2015 წელს დაიწყო ინოვაციური პროექტი ,,50 საჯარო მოხელე“, რომლის მიზანია ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საჯარო სამსახურის მუშაობის პრინციპების გაცნობა და პრაქტიკული გამოცდილების მიღება.

წლის განმავლობაში, განხორციელებული აქტივობების სტატისტიკური ანალიზი გაკეთდა ახლადშექმნილი სამსახურების მიხედვით. სტატისტიკური ანალიზის შედეგები მოცემულია ანგარიშში თვალსაჩინო დიაგრამებისა და ცხრილების სახით.

2. ტესტირების მიმართულება

სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრში, ტესტირების მიმართულებით საქმიანობას უზრუნველყოფენ ტესტის შექმნის და ტესტირების კოორ-დინაციის სამსახურები, რომელთა მიზანს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, ასევე მის მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ-ებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში კვალიფიკაციური კადრის შერჩევის მიზნით, სასელექციო ტესტების შემუშავება და მათი ადმინისტრირების უზრუნველყოფა. აგრეთვე, საჯარო მოხელეთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საკვალიფიკაციო და სასერტიფიკაციო გამოცდების უზრუნველყოფა.

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტესტირების მიმართულების ძირითადი საქმიანობის სფეროა საკვალიფიკაციო, სასერტიფიკაციო და საკონკურსო ტესტების შემუშავება და ადმინის-ტრირება.

2.1. ტესტის შექმნის სამსახური

„საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ დებულების მიხედვით, ტესტის შექმნის სამსახურის ამოცანებია:

ა) ტესტური დავალებების მომზადება დამკვეთი პირების საჭიროებების გათვალისწინებით და ამ მიზნით, ექსპერტებთან თანამშრომლობა;

ბ) მაღალკვალიფიციური, სანდო და განახლებადი ტესტური დავალე-ბების ბანკის შექმნა.

2015 წლის განმავლობაში სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტესტის შექმნის სამსახურმა შეიმუშავა სხვადასხვა შინაარსის წერითი დავალება, ასევე, მრავალი პროფესიული თუ ზოგადი უნარის სატესტო მაგალითი და წარმატებით ითანამშრომლა სხვადასხვა უწყებებთან.

2015 წლის განმავლობაში დაკვეთების რაოდენობა დამკვეთი უწყებების მიხედვით წარმოდგენილი დიაგრამის სახით:



სულ - 14 დამკვეთი უწყება; დაკვეთების ჯამური რაოდენობა - 43.

1.2. ტესტირების კოორდინაციის სამსახური

ტესტირების კოორდინაციის სამსახურის მიზანს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების განვითარებისა და ეფექტიანი მუშაობისთვის კვალიფიკაციური კადრის დაქირავების მიზნით, შესარჩევი კონკურის ეტაპზე ჩართულობა, კერძოდ სასელექციო ტესტირებების ადმინისტრირების უზრუნველყოფა. აგრეთვე, საჯარო მოხელეთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საკვალიფიკაციო და სასერტიფიკაციო გამოცდების პროცესის უზრუნველყოფა.

2015 წლის განმავლობაში იუსტიციის სასწავლო ცენტრის კოორდინაციის სამსახურმა მოახდინა საკვალიფიკაციო, სასერტიფიკაციო და საკონკურსო ტესტირებების ადმინისტრირება.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი, კოორდინაციას უწევს საკვალიფიკაციო, სასერტიფიკაციო და საკონკურსო ტესტირებების ადმინისტრირებას.

2015 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, ტესტირების კოორდინაციის სამსახურმა მომსახურება გაუწია 14 საჯარო დაწესებულებასა და 60 მუნიციპალიტეტის თვითმართველ ორგანოს. ტესტირების მონაწილეთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 20498-ს.

იუსტიციის სამინისტროს საჯარო მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები

ტესტირების კოორდინაციის სამსახურის მომსახურებით სარგებლობს როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებები. ცენტრთან აქტიურად თანამშრომლობს სსიპ - იუსტიციის სახლი, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული ბიურო. გარდა ამისა, 2015 წელს კოორ დინაციის სამსახურმა უზრუნველყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადააგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომელთა პროფესიული ატესტაცია. ასევე, განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვი ინსპექტორის აპარატისა და თავდაცვის სამინისტროს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებელად გამოცხადებული კონკურსების ტესტირების ეტაპის ადმინისტრირება.

N1 ცხრილში წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებისა და სხვა სახელმწიფო უწყებებისთვის სხვადასხვა მიზნებით გახორციელებულ ტესტირებებზე გამოცხადებულ აპლიკანტთა რაოდენობა.



ცხრილი N1

ადგილობრივი თვითმართველობა

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის № 73/სა ბრძანების საფუძველზე, იუსტიციის სასწავლო ცენტრის 2015 წელს აგრძელებდა ადგილობრივი თვითმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილ-ობრივი თვითმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპის ადმინისტრირებას. ტესტირებები მიმდინარეობდა საქართველოს 10 ქალაქში (თბილისი, გურჯაანი, ყვარელი, გორი, ახალციხე, ახალქალაქი, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, დაბა მესტია). ტესტირების კოორდინაციის სამსახურთან ითანამშრომლა 60-მა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანომ. ტესტირება წლის განმავლობაში ჩაუტარდა 12937 აპლიკანტს.

N2 ცხრილში წარმოადგენილია თვითმართველი ორგანოების ტესტირებებზე გამოცხადებული აპლიკანტების განაწილება რეგიონების მიხედვით.



ცხრილი N2

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 10 ოქტომბრის №1359 ბრძანების საფუძველზე, განისაზღვარა ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღი. წინასწარ დამტკიცებულ სამდივნოში შემოსული იქნა 116 განაცხადი. გამოცდები ჩატარდა 2 ეტაპად. პირველი ეტაპი - ტესტირება ზოგადი უნარებში წარმატებით ჩააბარა 85 მონაწილემ. მეორე ეტაპი - პროფესიული ტესტირება წარმატებით ჩააბარა 41 მონაწილემ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №68 ბრძანების მე-6 მუხლის „გამოცდის ეტაპები და პროცედურები“ მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკვალიფიკაციო გამოცდის პროფესიული ეტაპისგან გათავისუფლდა 3 მონაწილე, კერძოდ პირები გათავისუფლდნენ საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპისგან, რადგან იკავებდნენ მოსამართლის თანამდებობას, აგრეთვე ჩაბარებული აქვთ მოსამართლის საერთო საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა სერტიფიკატები გადასცა 44 მომავალ ნოტარიუსს.



ცხრილი N4

3. ტრენინგების მიმართულება

3.1. იურიდიული ტრენინგების სამსახური

იურიდიული ტრენინგების სამსახური სამართლებრივ თემებზე ტრენინგების და სხვა სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებით უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს სისტემის, ასევე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული საჯარო, თუ კერძო ორგანიზაციის **თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.** სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და ტრენინგების ჩატარების გზით სამსახური მონაწილეობს მიმდინარე **სამართლებრივი რეფორმების იმპლემენტაციში,** ასევე ხელს უწყობს საზოგადოებაში **მართლშეგნების ამაღლებას.**

სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დარგის წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობას და მუდმივად ანახლებს ტრენერთა ბაზას. სამსახური ორიენტირებულია სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და სწავლების პროცესის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაზე.

ზოგადი ინფორმაცია

2015 წელს იურიდიული ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა **100** განსხვავებული სასწავლო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა **1581** მონაწილე; ჩატარდა ტრენინგი **32** განსხვავებულ თემაზე, მათ შორის ყველაზე მოთხოვნადი ტრენინგების სტატისტიკა მოცემულია #1 დიაგრამაზე.

განხორციელებული სასწავლო ღონისძიებები (ტრენინგი, სემინარი, კონფერენცია, სამუშაო შეხვედრა, მრგვალი მაგიდა და სხვ.) მონაწილეთა 80%-ზე მეტმა შეაფასა დადებითად.

#1 დიაგრამა



	"საჯარო რეესტრის ავტორიზებული პირების სასერტიფიკატო პროგრამა"	"ოპერატორების მოსამზადებელი კურსი"	"სამართლებრივი წერა ადმინისტრაციული წარმოებისას"	"ადმინისტრაციული სამართალი"	"პერსონალურ მონაცემთა დაცვა"
ჯგუფების რაოდენობა	22	18	14	8	6

» სატრენინგო თემები და ტრენინგ-მოდულები

ცენტრის ბაზაზე არსებული მზა ტრენინგ-მოდულების გარდა, სამსახური დამკვეთებს სთავაზობს ნებისმიერ სამართლებრივ თემაზე მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სპეციალური ტრენინგ-მოდულის შემუშავებას.

» დამკვეთი პირები

იურიდიული ტრენინგების სამსახური სატრენინგო მომსახურების გაწევით თანამშრომლობს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

#2 დიაგრამა:



» იუსტიციის სამინისტროს სისტემისთვის განხორციელებული აქტივობები

სამსახურის უპირველესი დანიშნულებაა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის მომსახურების გაწევა, ასევე ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

#3 დიაგრამაზე მოცემულია იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მისი სსიპ-ებისთვის განხორციელებული აქტივობების სტატისტიკა:



» საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირთა სასერტიფიკაციო პროგრამების ტრენინგი

2014 წლიდან სამსახური ორგანიზებას უწევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების სასერტიფიკაციო პროგრამების ტრენინგებს.

2015 წელს ჩატარდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს ავტორიზებული პირების სასერტიფიკაციო ტრენინგი და გამოცდა შემდეგ პროგრამებში:

- **განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული წიგნი NAPRWEB 3.5**
- **უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი NAPRREG**
- **გირავნობა/ლიზინგის უფლებათა რეესტრი" MMR**
- **მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის საკითხები ENREG**

ოთხივე პროგრამის სასერტიფიკაციო ტრენინგი გაიარა სხვადასხვა დაწესებულების 156-მა წარმომადგენელმა, ხოლო სასერტიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 157-მა აპლიკანტმა. სტატისტიკა ასახულია #4 დიაგრამაზე:



» ოპერატორთა მოსამზადებელი კურსები

იურიდული ტრენინგების სამსახური საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტის ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, 2014 წლიდან რეგულარულად ატარებს ოპერატორთა მოსამზადებელ კურსს. მოსამზადებელი კურსის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევა მაღალი სტანდარტით.

2015 წლის განმავლობაში მომზადება/გადამზადების კურსი გაიარა 272 ოპერატორმა.

#5 დიაგრამა:



რეფორმებში მონაწილეობა

იურიდიული ტრენინგების სამსახური აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი რეფორმების განხორციელებაში.

» არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა

2015 წელს იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტს წარმოადგენდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ეფექტიანი განხორციელება. ამ მიზნით, 2015 წლის მარტში შედგა სამუშაო ვიზიტი ჩეხეთის რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ტრენინგ-მოდულების, ასევე კანონმდებლობის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, რომელზეც მონაწილეობდა, იუსტიციის სასწავლო ცენტრის იურიდიული ტრენინგების სამსახურის წარმომადგენელი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ტრენერთა ტრენინგი - სპეციალიზაციის I ეტაპი განხორციელდა იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს რიგით მე-17 სხდომაზე დამტკიცებული ტრენერთა გადამზადების კონცეფციის საფუძველზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ტრენერობის უფლების მოსაპოვებლად ტრენერთა ტრენინგი გაიარა 9 უწყების 71 წარმომადგენელმა, რომელთა სტატისტიკა მოცემულია #6 დიაგრამაზე:



რეგიონების განვითარების ხელშეწყობა

იუსტიციის სასწავლო ცენტრის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომელთა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრენინგების ორგანიზებას.

» რეგიონული შეხვედრები

2015 წლის 13 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით გაიმართა 7 რეგიონული საინფორმაციო შეხვედრა ქალაქებში - მცხეთა, გორი, ახალციხე, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი და ამბროლაური. საინფორმაციო შეხვედრები მიზნად ისახავდა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და უახლესი სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის. ადგილობრივ თვითმმართველობებებში დასაქ-მებულთა ტრენინგ-საჭიროებების დასადგანად ჩატარდა კვლევა.

» ქართული ენის კურსები ეთნიკური/ეროვნული უმცირესობებისთვის

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის პოპულარიზებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვ-დომობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურმა ორგანიზება გაუწია „ქართული ენის კურსებს“.

„ქართულ ენის კურსი“ ფოკის, სართიჭალის და ყვარელწყალის საზოგა-დოებრივ ცენტრებში ჩატარდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო დეკემბრის თვეში კაბალის, ყვარელწყალის და სართიჭალის საზოგადოებრივ ცენტრებში კურსი დაფინანსდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ.

კურსის 24 საათიანი პროგრამა, რომელიც განაწილებულია 5 დღეზე, შედგენილი იყო მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკისა და მათი საჭიროებების გათვალისწინებით. კურსს უძღვებოდნენ იუსტიციის სასწავლო ცენტრის მოწვეული ტრენერები.

საზოგადოებრივ ცენტრში ენის კურსი გაიარა 63-მა პირმა.



საერთაშორისო და რეგიონალური მნიშვნელობის ღონისძიებები

» ტრენინგი „საერთაშორისო დავების პრევენცია, მართვა და ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები“

საქართველოში საინვესტიციო სფეროს განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, კომპანია „ომნიასთან“ (Omnia strategy LLP) თანამშრომლობით დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგი ქართველი საჯარო მოხელეებისთვის. კომპანია **„ომნია“ (Omnia strategy LLP)** სტრატეგიულ საკონსულტაციო მომსახურებას საერთაშორისო დავების გადაწყვეტისა და ინვესტიციების სფეროში წამყვანი ქვეყნების მთავრობებს უწევს. კომპანიას ხელმძღვანელობს დიდი ბრიტანეთის იმპერიის ორდენის მფლობელი, სამეფო მრჩეველი, ბრიტანეთის ექსპრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის მეუღლე, ჩერი ბლერი.

„ომნიამ“ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, რომელშიც სამინისტროების, სააგენტოებისა და სახელმწიფო დაწესებულებების საჭიროებებია გათვალისწინებული. 2015 წლის 13 და 14 ოქტომბერს კომპანიის ხელმძღვანელმა, ჩერი ბლერმა „ომნიას“ სხვა ექსპერტების მონაწილეობით, ჩაატარა ორდღიანი ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა საჯარო და კერძო დაწესებულების 21 წარმომადგენელი.

» რეგიონული კონფერენცია ქალთა უფლებებზე

2015 წლის 5 და 6 ნოემბერს ყვარლის სასწავლო კომპლექსში ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით, სამსახურმა ორგანიზება გაუწია რეგიონულ კონფერენციას „აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში ქალთა მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერების თაობაზე (Regional Conference of the Project “Improving women’s access to justice in five Eastern Partnership courtiers” (Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova and Ukraine).

კონფერენციას ესწრებოდა ხუთი სხვადასხვა ქვეყნის 55 წარმომადგენელი.

» იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები

თსუ-სთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი 2015/16 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ახორციელებს ათკრედიტიან კლინიკას იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაიუმჯობესონ ტრენერული უნარები და მიიღონ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ტრენინგების ჩატარების გამოცდილება.

კლინიკის მიზანია ახალგაზრდა, მოტივირებული, ენერგიული სტუდენტების ხელშეწყობა და ცენტრის იურიდიული ტრენინგების სამსახურის ტრენერთა ბაზისთვის რეზერვის შექმნა, ინტელექტუალური რესურსის მოზიდვა.

სტუდენტები კლინიკის ფარგლებში სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ სამართლებრივ თემებზე ატარებენ უფასო ტრენინგებს. ტრენინგზე დასწრების შესაძლებლობა ეძლევა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

2015 წლის 10 და 11 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ტრენინგი **„სამართალი და ადამიანის უფლებები“**. აქტივობის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში მართლშეგნების ამაღლების ხელშეწყობა, აგრეთვე იუსტიციის სასწავლო ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ტრენინგს დაესწრო 73 პირი.

3.2. სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახური

2015 წლის განმავლობაში, სოციალური უნარების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა შინაარსის სასწავლო აქტივობა 120 სხვადასხვა ჯგუფისათვის. ტრენინგი გაიარა სხვადასხვა სამსახურის/ ორგანიზაციის 1885-მა წარმომადგენელმა, მათ შორის იყვნენ სტუდენტებიც. 2015 წელს სასწავლო აქტივობა განხორციელდა პიროვნული და ორგანიზაციული განვითარების შემდეგ თემებზე:

№	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება	536
2	რე-ტრენინგი	229
3	ტრენერთა ტრენინგი	129
4	გუნდური მუშაობა	104
5	სტრესის მართვა და გადაწვის პრევენცია	89
6	დასაქმების ხელშეწყობა	65
7	ეფექტიანი სატელეფონო კომუნიკაცია და მომსახურება	54
8	ბავშვზე სექსუალრი ძალადობის და სექსუალური ექსპლოატაცია	49
9	ზოგადი მენეჯმენტი	38
10	ჯანსაღი ცხოვრების წესი	38
11	მომსახურების სტანდარტები და გუნდური მუშაობა	28
12	თანამშრომელთა შეფასება და უკუკავშირის ტექნიკები	27
13	პრეზენტაციული უნარები	25
14	ფსიქიკური ჯანმრთელობა	24
15	პროფესიული კომუნიაკცია და რეაბილიტაცია	24
16	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ტრენერთა სპეციალიზაცია	24
17	პროექტის მართვა	22
18	სტრატეგიული დაგეგმვა	18
19	ეფექტიანი კომუნიკაცია	15

20	ემოციური ინტელექტი	15
21	პოზიტიური მშობლობა	14
22	აზროვნების უნარების განვითარება	13
23	გუნდური შეჭიდულობის ტრენინგი, ორგანიზაციული ფსიქოლოგია და ინოვაციების მენეჯმენტი	12
24	კონფლიქტის მართვა	11
25	ISO	10
26	ნორმატიული და დევიაციური ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლები	7
27	სხვა (სამუსაო შეხვედრები, კონფერენციები, ტრენინგები)	265
სულ:		**1885**

ანალიზის შედეგები დამკვეთი ორგანიზაციების მიხედვით

სოციალური ტრენინგების მიმართულების სტატისტიკა დამკვეთი ორგანიზაციების მიხედვით[1]:

სოციალური ტრენინგების მიმართულება	
დამკვეთი ორგანიზაციები	**მონაწილეთა რაოდენობა**
სსიპ იუსტიციის სახლი	499
სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი	211
სამინისტროს აპარატი	173
სსიპ ნოტარიუსთა პალატა	168
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	149

[1] მონაწილეთა ჯამური რაოდენობა დათვლილია სხვადასხვა ცალკეული ტრენინგების მონაწილეების რაოდენობების შეჯამებით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი კანდიდატი წლის განმავლობაში ერთდროულად რამდენიმე ტრენინგს გადის, შესაბამისად ჯამურ სტატისტიკაში რამდენჯერმეა გათვალისწინებული.

სახალხო დამცველის აპარატი	104
კომპანია ევროპაბეთი	76
ეკონომიკის სამინისტრო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	60
სტუდენტები	55
სსიპ საჯარო რეესტრი	51
საერთაშორისო ორგანიზაცია BICE, NGO საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი	49
გარემოს დაცვის სამიონისტრო	47
საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ	43
ევროკავშირის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრი (EMCDDA)	40
კომპანია - ,,თერმო ინდუსტრია"	38
ევროკავშირი	24
მესტიის მუნიციპალიტეტი	21
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებლელი ხელისუფლება	16
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო	15
საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი	7
სხვა	39
სულ:	**1885**

სსიპ იუსტიციის სახლი

სასწავლო ცენტრის მიერ ტარდება იუსტიციის სახლის წინა ხაზის თანამშრომელთა ე.წ. რე-ტრენგები ეფექტიან კომუნიკაციასა და მომსახურებაში, განახლებული სასწავლო პროგრამებით, რომლის მიზანია იუსტიციის სახლებში მოქალაქეთა ეფექტინი მომსახურების შენარჩუნება და გაუმჯობესება. გარდა ამისა, იუსტიციის სახლების თანამშრომელთათვის 2015 წელს ჩატარდა შემდეგი სახის ტრენინგები (იხ. დიაგრამა N1):

სატრენინგო პროგრამის დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
რე-ტრენინგები	229
სტრესის მართვა	70
ეფექტიანი პირისპირი და სატელეფონო კომუნიკაცია და მომსახურება	154
ტრენერთა ტრენინგი	32
პერზენტაციული უნარები	14
ჯამური მაჩვენებელი:	499

დიაგრამა 1. იუსტიციის სახლის თანამშრომელთათვის ჩატარებული ტრენინგები



რეგიონული განვითარების ხელშეწყობა

იუსტიციის სასწავლო ცენტრი სოციალური უნარების ტრენინგებს ატარებს აქტიურად როგორც იუსტიციის სახელების, ასევე საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლებისათვის, საქართველოს მასშტაბით. გარდა ამისა, აქტიურად ერთვება მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა გადამზადების პროცესშიც.

2015 წლის სექტემბერი-ოქტომბრის განმავლობაში მესტიის მუნიციპალიტეტისთვის ჩატარდა ზოგადი მენეჯმენტისა და პროექტების მართვის ტრენინგები;

GIZ-ის დაფინანსებით ჩატარდა ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურების ტრენინგი შემდეგი მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისათვის:

» თბილისი (მერია)
» ახმეტა
» ქარელი
» ყვარელი
» ხობი
» გორი
» ოზურგეთი
» ახალციხე

2015 წელს ჩატარდა ტრენინგი ,,დასაქმების ხელშეწყობა“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, კერძოდ სოფელ ღორეშას მოსახლეობისათვის.

3.3. ინფორმაციული ტექნოლოგიების ტრენინგების სამსახური

2015 წლის განმავლობაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა შინაარსის სასწავლო აქტივობა 82 სხვადასხვა ჯგუფისათვის. ტრენინგი გაიარა სხვადასხვა სამსახურის/ ორგანიზაციის 712-მა წარმომადგენელმა.

2015 წელს სასწავლო აქტივობა განხორციელდა შემდეგ თემებზე:

№	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	IT საბაზისო კურსი	316
2	MS Office ინდივიდუალური კურსი	34
3	მუნიციპალიტეტის მართვის სისტემა	131
4	დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა	155
5	MS Access სრული კურსი	11
6	მონაცემთა ბაზებისა და გის ანალიზის საბაზისო კურსი	22
სულ:		**665**

ანალიზის შედეგები სამიზნე ჯგუფების მიხედვით

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების სტატისტიკა სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება	
სამიზნე ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა
ახმეტის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები	94
ყვარლის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები	77
ხობის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები	91
ქარელის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები	80
ხაშურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები	88
ფოკის საჯარო სკოლის მოსწავლეები	12
მცხეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები	60
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები	40
გორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები(28)	28
ჩყოროწყუს მუნიციპალიტეტის თანამშრომლები	37
მესტიის თვითმმართველობის თანამშრომლები	22
სსიპ საჯარო რეესტრი	33
სულ:	665

ადმინისტრირება:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

2015 წელს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, განხორციელდა ტრენინგი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს „ინციდენტების მართვა“. გადამზადდა სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის 47 თანამშრომელი;

3.4. ფინანსური ტრენინგების სამსახური

ფინანსური მიმართულების ტრენინგის სამსახურმა იუსტიციის სასწავლო ცენტრში ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის თებერვლიდან.

2015 წლის განმავლობაში ფინანსური მიმართულების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა 6 განსხვავებული სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 114 წარმომადგენელი.

ტრენინგები:
იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ების თანამშრომლები

- ბუღალტრული აღრიცხვის ტრენინგი (27 მონაწილე)
- ინვენტარიზაცია (14 მონაწილე)
- პროექტების მართვა (8 მონაწილე)
- საბიუჯეტო სისტემები და ფინანსური მენეჯმენტი (32 მონაწილე)
- შესყიდვების ტრენინგი (21 მონაწილე)
- ფინანსური სახსრების მართვის ზოგადი კურსი (12 მონაწილე)

3.5. პროექტების მართვის სამსახური

საანგარიშო პერიოდში, (2015 წლის იანვარი-დეკემბერი) პროექტების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა **63 სასწავლო აქტივობა**, რომელშიც ჩართულნი იყვნენ იუსტიციის სისტემის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები.

მონაწილეთა ჯამური რაოდენობა შეადგენს: **676**.

I – უცხო ენის შემსწავლელი კურსები

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისათვის, ახორციელებს უცხო ენის შემსწავლელი კურსების ადმინისტრირებას.

იუსტიციის სისტემის თანამშრომელთა ინტერესიდან გამომდინარე, სასწავლო ცენტრმა, 2015 წელს მაქსიმალურად გაამრავალფეროვნა კურსების ჩამონათვალი და მოწვეულ პედაგოგებთან ერთად, კურსების ორგანიზებისას თანამშრომლობს მსოფლიოში წამყვან ენის შემსწავლელ ცენტრთან, ბრიტანეთის საბჭოსთან და საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტთან.

ანალიზის შედეგები სამიზნე ჯგუფების მიხედვით

უცხო ენების მიმართულების სტატისტიკა სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

I.I ინგლისური და რუსული ენის შემსწავლელი კურსი (მოწვეული პედაგოგი):

სამიზნე ჯგუფი	ჯგუფის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
ინგლისური ენა		
სსიპ იუსტიციის სახლი	13	139
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი	1	8
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო (ინდივიდუალური კურსი)	3	1
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	3	3
სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი	1	1
რუსული ენა		
სსიპ იუსტიციის სახლი	5	37
სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი	2	10
სულ:		**199**

იუსტიციის სახლის ინგლისური და რუსული ენის შემსწავლელი კურსი დაიწყო 2015 წლის თებერვალში და გაგრძელდა 5 თვის ვადით. გადამზადების კურსი მიმდინარეობდა იუსტიციის სახლში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 176 თანამშრომელმა.

სსიპ „იუსტიციის სახლი“
ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი
თებერვალი-ივნისი

სწავლების დონე	მონაწილეთა რაოდენობა
Starter I	8
Starter II	12
Elementary I	11
Elementary II	11
Pre-Intermediate I	11
Pre-Intermediate II	11
Pre-Intermediate III	9
Pre-Intermediate IV	12
Intermediate I	12
Intermediate II	7
Intermediate III	12
Intermediate IV	12
Upper-Intermediate I	11
სულ:	**139**

სსიპ „იუსტიციის სახლი“ რუსული ენის შემსწავლელი კურსი თებერვალი-ივნისი	
სწავლების დონე	მონაწილეთა რაოდენობა
A1	9
A1	8
A2	7
A2	7
B1	6
სულ:	37

I.II ფრანგული ენის შემსწავლელი კურსი

ფრანგული ენის კურსების ადმინისტრირება განხორციელდა საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით.

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი, ერთადერთი ფრანგული ენის ცენტრია საქართველოში, რომელიც ფლობს პედაგოგიური კვლევის საერთაშორისო ცენტრისა და პარიზის სავაჭრო და ინდუსტრიული პალატის ლიცენზიებს, ფრანგული ენის საერთაშორისო გამოცდების ჩასატარებლად.

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი, სასწავლო პროცესში იყენებს ფრანგული ენის სწავლების თანამედროვე მეთოდს, რომელიც მოიცავს ერთდროულ მუშაობას როგორც ზეპირი, ასევე წერითი მიმართულებით, რაც მსმენელს ენის სწრაფი და ეფექტური შესწავლის საშუალებას აძლევს. ფრანგული ენის კურსები მისადაგებულია თითოეული მონაწილის მოთ-ხოვნებთან.

გადამზადების კურსი განახორციელა ფრანგული ენის სპეციალიზებული პედაგოგების მიერ. ყველა მასწავლებელი მუდმივად გადის პედაგოგიურ ტრენინგებს საფრანგეთში და სერტიფიცირებულნი არიან საერთაშორისო გამოცდების ჩასატარებლად. თანამედროვე და ინტერაქტიული სახელმ-ძღვანელოები (თანდართული CD) მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ.

იუსტიციის სამინისტრო	
ჯგუფების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
ჯგუფი N1	4
ჯგუფი N2	7
ჯგუფი N3	6
ჯგუფი N4	8
ინდივიდუალური ენის შემსწავლელი კურსი	1
სულ:	26

I.III ბრიტანეთის საბჭოს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი

ბრიტანეთის საბჭოს ინგლისური ენის სწავლების 75 წლიანი გამოცდილება აქვს, რომელიც გვთავაზობს საუკეთესო კვალიფიკაციისა და სწავლების გამოცდილების მქონე პროფესიონალ პედაგოგებს.

» ბრიტანეთის საბჭომ იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები შესთავაზა ექსკლუზიურ ფასად;

» კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მოხდება იუსტიციის სასწავლო ცენტრის და ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივი, საერთაშორისო სერტიფიკატის გაცემა.

კურსის ხანგრძლივობა (ერთი დონის სრულყოფილად გავლა) მოიცავს 120 საათიან მეცადინეობას, რომელიც ხორციელდება კვირაში ორჯერ, 2 საათის განმავლობაში. გადამზადება დაიწყო 2015 წლის 30 სექტემბრიდან და გაგრძელდება 2016 წლის ივნისის ჩათვლით.

ზოგადი ინგლისური ენის კურსი დაეხმარება ენის შემსწავლელებს, ოთხივე უნარ-ჩვევის (კითხვის, წერისა, მოსმენისა და საუბრის) გაუმჯობესებაში, გრამატიკისა და ლექსიკის გამდიდრებაში; პრაქტიკული სავარჯიშოების, ასევე ბრიტანეთის საბჭოს ექსპერტთა მიერ შემუშავებული სასწავლო მასალების საშუალებთ, ენის შემსწავლელები შეძლებენ მეტი თავდაჯერებულობით მეტყველებას.

გადამზადების კურსში მონაწილეობს იუსტიციის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების 173 თანამშრომელი:

ბრიტანეთის საბჭოს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი ჩართული უწყებები	
მიზნობრივი ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა
იუსტიციის სამინისტრო	29
საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	30
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	11
დანაშაულის პრევენციის ცენტრი	13
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	53
იუსტიციის სახლი	9
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	22
სულ:	167

ბრიტანეთის საბჭოს ინგლისური ენის შემსწავლელ (6 ინდივიდუალურ) კურსში ჩართული უწყებები	
მიზნობრივი ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა
საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	1
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	2
საქართველოს ეროვნული არქივი	1
აღსრულების ეროვნული ბიურო	2
სულ:	6

II სტუდენტური პროექტები

მიზნობრივი ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა
ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში	17
სამართლის სკოლა და იმიტირებული სასამართლო პროცესი საერთაშორისო სისხლის სამართალში	24
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტი იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და საკანონმდებლო მაცნეში	20
ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება	14
საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკა და საზოგადოების ჩართულობის პროცესები“ (თბილისი)	30
საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკა და საზოგადოების ჩართულობის პროცესები“ (გორი)	28
საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკა და საზოგადოების ჩართულობის პროცესები“ (თელავი)	0
პროექტი „50 საჯარო მოხელე“ - გუნდის ფორმირება	50
პროექტი „50 საჯარო მოხელე“ - NLP ლიდერობის მასტერკლასი	49
პროექტი „50 საჯარო მოხელე“ - ქოუჩინგის პროგრამა	50
პროექტი „50 საჯარო მოხელე“ - საჯარო ლექცია „დემოკრატიული მშენებლობის გრძელი გზა და დღევანდელი გამოწვევები“	50
პროექტი „50 საჯარო მოხელე“ - საჯარო ლექცია „კულტურის სტრატეგია საქართველოში“	41
პროექტი „50 საჯარო მოხელე“ - საჯარო ლექცია „ადამიანის როლი სახელმწიფოში“	49
პროექტი „50 საჯარო მოხელე“ - საჯარო ლექცია „სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობა“	49
სულ:	203

1. **ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში** (17 მონაწილე)
   24 აპრილი-11 მაისი: ლექციები საქართველოს იუსტიციის სამინისტროში
   15-17 მაისი: დასკვნითი რაუნდი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 15-17 მაისს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსში განხორციელდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრის დასკვნითი რაუნდი, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი და საუკეთესო მონაწილე.

გამარჯვებული გუნდი - გიორგი ნაკაშიძე, ბექა თაბაგარი, გიორგი ბაღდავაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

საუკეთესო მონაწილე - გიორგი ნაკაშიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩატარდა პროექტის პირველი ეტაპი - სამართლის სკოლა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა გაიღრმავეს ცოდნა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულებით. 5 დღის განმავლობაში, მონაწილეებს ლექციებს უკითხავდნენ სამართლის პროფესორები და მოქმედი პრაქტიკოსი იურისტები.

სამართლის სკოლის დასრულების შემდეგ, საუკეთესო მონაწილეები გადავიდნენ პროექტის მეორე ეტაპზე - იმიტირებულ სასამართლო პროცესზე.

2. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტი იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და საკანონმდებლო მაცნეში (19 მაისი)

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტსა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ეწვია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 20 სტუდენტი.

მონაწილეებისთვის განხორციელდება საკანონმდებლო მაცნესა და სასწავლო ცენტრის საქმიანობის ზოგადი პრეზენტაციები, ხოლო მისი დასრულების შემდეგ, სოციალური ტრენინგების სამსახურის ჩართულობით, განხორციელდება ტრენინგი თემაზე: „ემოციური ინტელექტი, როგორც წარმატების ფორმულა.“

ინსტიტუციურ ვიზიტში მონაწილება მიიღო 15-მა მონაწილემ.



3. ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება (7 დეკემბერი)

ანტიკორუფციული კვირეულის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება.

პროექტი განხორციელდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტისა და იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით. ღონისძიებაში ჩართული იყვნენ საჯარო სამსახურის ბიურო, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

მოდელირებაში მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა უნივერსიტეტის 14 წარმატებული სტუდენტი შეირჩა, რომელთაც მოირგეს ანტიკორუფციული საბჭოს წევრთა როლები და წარადგინეს შესაბამის უწყებათა პოზიციები, იმსჯელეს და დაამტკიცეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული პრიორიტეტები, განიხილეს საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია და ანტიკორუფციულ საკითხებში ცნობიერების ამაღლების შესახებ კამპანია.

სტუდენტებს იუსტიციის სამინისტროში 4 დეკემბერს ჩაუტარდათ საინფორმაციო ლექცია ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის შესახებ. ახალგაზრდებმა მიიღეს საერთო და ინდივიდუალური დავალებები, მითითებები განაწილებული როლების შესაბამისად.
ღონისძიების დასასრულს, ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი. ამასთან, გამოვლინდა პროექტის სამი წარმატებული მონაწილე, რომელთაც იუსტიციის სამინისტროს სახელით მიიღეს სამახსოვრო საჩუქრები.

4. საჯარო ლექციები (9-11 დეკემბერი)

ანტიკორუფციული კვირეულის ფარგლებში, 2015 წლის 9-11 დეკემბერს, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ და იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, საჯარო სამსახურის ბიუროსთან და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ქ. თბილისსა და ქ. გორში გამართეს საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკა და საზოგადოების ჩართულობის პროცესები“.

საჯარო ლექციების მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკასა და სტრატეგიული დოკუმენტების, ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივასა და საჯარო სამსახურის სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ. მონაწილეებმა განიხილეს ანტიკორუფციული საბჭოს მნიშვნელობა და როლი, ასევე იმსჯელეს ანტიკორუფციულ სტრატეგიაზე, სამოქმედო გეგმასა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესზე.

სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივისა და მის ფარგლებში საქართველოს მიღწევების, მათ შორის ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მუშაობის შესახებ. გარდა ამისა, მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს უკანასკნელი წლების განმავლობაში საჯარო სამსახურის სფეროში მიღწეული შედეგები და საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელთან ერთად გამართეს დისკუსია ახალი საჯარო სამსახურის შესახებ კანონთან მიმართებაში.



5. პროექტი - საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი (15-26 დეკემბერი)

„საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა“, „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია თბილისთან“ ერთად, 15-26 დეკემბერს, ერთობლივად განახორციელა სამართლის სკოლა თემაზე „საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი“, რომელიც ჩატარდა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში.

პროექტის მომხსენებლები იყვნენ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ეროვნული ექსპერტი, წარმომადგენლები საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინსიტროს მდგრადი განვითარებისა და ევროინტეგრაციის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, კავკასიის უნივერსიტეტისა (CSL) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები, რომელთა მიერ განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ევროკავშირის სამართალი, ასოცირების ხელშეკრულება, ევროპის მოქალაქეობა და სხვა.

პროექტში მონაწილეობას იღებდა კონკურსის შედეგად შერჩეული 25 საუკეთესო მონაწილე თბილისის აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლებიდან, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტები და ახალგაზრდა იურისტები.

სამართლის სკოლის დახურვა გაიმართა 2015 წლის 26 დეკემბერს, იუსტიციის სასწავლი ცენტრში, სადაც წარმატებულ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები, ხოლო მომხსენებლებს - მადლობის სიგელები, პროექტის მხარდაჭერისათვის.

III პროექტი სკოლის მოსწავლეებისთვის

1. იმიტირებული სასამართლო პროცესი სკოლის მოსწავლეებისთვის II (12 სტუდენტი (ნაფიც-მსაჯული)12 სკოლის მოსწავლე. ჯამში 24 მონაწილე)

2. იმიტირებული სასამართლო პროცესი სკოლის მოსწავლეებისთვის III

პროექტი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ ერთობლივად განხორციელდა. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია სს „ბაზისბანკი". მასში სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. პროცესზე "ბრალდებულს", "მოსამართლეს", "პროკურორსა" და "ადვოკატს" სკოლის მოსწავლეები განასახიერებდნენ, „ნაფიცმსაჯულების" როლი კი სტუდენტებს ერგოთ. „სხდომაზე" განიხილეს „სისხლის სამართლებრივი დევნის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით". ჟიურია შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით პროცესის 3 საუკეთესო მონაწილე გამოავლინა, რომლებსაც სს „ბაზისბანკისგან" საჩუქრად პლანშეტები გადაეცათ.

ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი პაპავა, იუსტიციის სასწავლო ცენტრის იურიდიული ტრენინგების სამსახურის პირველი რანგის ტრენერი ნათელა თოფურია, „ბაზისბანკის" იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ბესარიონ ბოლოთაშვილი და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენელი თორნიკე დარჯანია.

პროექტის მიზანია მესამე და მეოთხე საფეხურის სკოლის მოსწავლეებისთვის ადვოკატ ირების უნარ-ჩვევების გამომუშავება, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება, სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამართლის დარგით და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

(2 პროექტი, 72 მონაწილე)

4. ყვარლის სასწავლო ცენტრი

2015 წელს საანგარიშო პერიოდში ყვარლის სასწავლო ცენტრმა უმასპინძლა 83 ღონისძიებას, სტუმართა საერთო რაოდენობამ შეადგინა 3383 (სტუმართა ნაწილი არ სარგებლობდა სასტუმროს მომსახურებით). მათ შორის იყო სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები, ტესტირებები და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. ყვარლის სასწავლო ცენტრის მომსახურებით სარგებლობდა როგორც იუსტიციის სამინისტრო, მის დაქვემდებარებაში შემავალი სსიპები, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები.

იუსტიციის სამინისტრო და მისი სსიპები

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - 9 ვიზიტი, 213 ადამიანი;
2. სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ – 5 ვიზიტი, 162 ადამიანი
3. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ - 8 ვიზიტი, 278 ადამიანი;
4. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ – 5 ვიზიტი ,175 ადამიანი;
5. სსიპ „იუსტიციის სახლი“ – 4 ვიზიტი, 164 ადამიანი;
6. სსიპ „სმარტლოჯიქი“ – 2 ვიზიტი, 98 ადამიანი;
7. სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“ 1 ვიზიტი, 27 ადამიანი;
8. სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ – 2 ვიზიტი, 68
9. სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ – 1 ვიზიტი, 34 ადამიანი;
10. სსიპ „ეროვნული არქივი“ – 1 ვიზიტი, 46 ადამიანი;



საჯარო/სახელმწიფო სამსახური

საჯარო/სახელმწიფო სამსახური

1. **საჯარო სამსახურის ბიურო** (სამუშაო შეხვედრა)

2. **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო** - 4 ვიზიტი, (სამუშაო შეხვედრა)

3. **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“** – 1 ვიზიტი, (სამუშაო შეხვედრა)

4. **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია** - (ტრენინგი სამართლებრივი წერა)

5. **შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია**, ევროკავშირის მხარდაჭერით - (ტრენინგი : დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სასწავლო კურსი სამართალდამცველთათვის)

6. **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია** (სემინარი- ეთიკა საჯარო სამსახურში)

7. **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სსიპ „გარემოს-დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ - ტრენინგი**, „საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყეებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება“

8. **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“** (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) – 2 ვიზიტი, (სამუშაო შეხვედრა)

9. **შპს“სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“** - (ტრენინგი)

10. **თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრი**, აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდული ბანაკი. ბანაკში მონაწილეობა მიიღო აღმოსალეთ ევროპის 6 ქვეყნის და ევროსტრუქტურის წარმომადგენლებმა.

11. **ყვარლის მუნუციპალიტეტის გამგეობა**, ტრენინგი დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში.

სხვა

GIZ ის თანადაფინანსებით, 2015 წელს ყვარლის სასწავლო ცენტრში ჩატარდა 3 ღონისძიება:

1. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ს ორგანიზებით 2015 წლის 8-12 თებერვალს, ყვარლის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობდა „ზამთრის სკოლა მიგრაციის პოლიტიკისა და განვითარებისათვის“.
2. 2015 წლის 24-25 აპრილს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ ტრენინგი “ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურება“ ჩაუტარდა ახმეტის, ქარელის, ყვარელის და ხობის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს.
3. 2015 წლის სექტემბერში GIZ-ის ორგანიზებით, ჩატარდა მენეჯმენტისა და ლიდერობის ტრენინგი.
4. 2015 წლის 23-27 მარტი **USAID**-ის მხარდაჭერით, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის ორგანიზებით, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა „საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია“ ტრენინგ- პროგრამის VII სესია.
5. 2015 წლის 2-4 მაისს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსმა უმასპინძლა კომპანია **REDBULL**-ის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო მარათონის - „Wings for Life” საორგანიზაციო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა.
6. 2015 წელს **NIMD** (ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის)-მა ორი ღონისძიება ჩაატარა ყვარლის კომპლექსში: პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიის სკოლების მესამე ერთობლივი სემინარი - 23 ადამიანი (2 დღე), დემოკრატიის ბანაკი „ქალაქები“.
7. **საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზებით**, 2015 წლის 15-17 მაისს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსში განხორციელდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრის დასკვნითი რაუნდი.
8. 2015 წლის 13-17 ივლისს, **ICCN** (კონფლიქტებისა მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი)- ის ორგანიზებით ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა ტრენერთა ტრენინგი თემაზე **„Training of Trainers programme Unit 2 Participation of CSOs in policy dialogue, moni toring of policy processes“**.
9. **UNDP/ Fostering Regional and Local Development in Georgia** - ის დაფინანსებით, 2015 წლის განმავლობაში ყვარლის სასწავლო ცენტრში 3 ღონისძიება გაიმართა, მათ შორის ტრენინგი „მშენებლობის ნებართვა/ ზედამხედველობა“.

10. **საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის** ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია.
11. **ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის** ფარგლებში, 2015 წელს ყვარლის სასწავლო ცენტრში გაამართა 2 ღონისძიება: პროგრამის მონაწილეთა სამუშაო შეხვედრა და ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ სასწავლო ცენტრთან ერთობლივი სემინარი „International Communications: Collaborating Across Cultures".
12. მიმდინარე წლის 5-6 ნოემბერს **საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ევროპის საბჭოს** ერთობლივი ძალისხმევით სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში ჩატარდა რეგიონული კონფერენცია „აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში ქალთა მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერების თაობაზე.
13. 26-29 ნოემბერს, ყვარლის სასწავლო ცენტრმა უმასპინძლა **ახალგაზრდული პარლამენტის** სამუშაო შეხვედრა-ტრენინგს.
14. 5-6 დეკემბერი **მასწავლებელთა სახლის** მედია-სემინარი.
15. **ჩეხეთის კარიტასი**, სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგი -„ზოგადი მენეჯმენტი".
16. 18-20 დეკემბერს, **"სიდას"** ორგანიზებით, ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა 2 ღონისძიება - კერძო სექტორის PR და მარკეტინგის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა და ასევე ტრენინგი ჟურნალისტებისთვის, რომელსაც გაუძღვნენ "სიდას", მიგრაციის ცენტრის, იუსტიციის, დევნილთა და ევროინტეგრაცის სამინისტროების წარმომადგენლები.

2015 წლის განმავლობაში ყვარლის სასწავლო ცენტრში ტესტირება ჩაუტარდათ ლაგოდეხის, ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და გამგეობის თანამშრომლებს. ასევე, კახეთის რეგიონის იუსტიციის სახლის თანამშრომლებს.

5. პროექტი ,,50 საჯარო მოხელე"

"50 საჯარო მოხელე" პროექტის მიზანია, ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საჯარო სამსახურის მუშაობის პრინციპების გაცნობა და პრაქტიკული გამოცდილების მიღება.

პროექტი ითვალისწინებს, ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობას, პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას, ასევე, ემსახურება ახალგაზრდებში დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას, მართლშეგნების ამაღლებას, საჯარო სამსახურის სისტემაში ორიენტაციისა და თავის დამკვიდრებისთვის მათ სათანადო ცოდნით აღჭურვას.

პროექტის - „50 საჯარო მოხელე“ მეორე ეტაპის - შერჩევა-შეფასებასების ეტაპში პასუხისმგებელ მხარედ განისაზღვრა ტესტირების მიმართულება (ტესტირების კოორდინაციისა და ტესტის შექმნის სამსახურები). შერჩევა-შეფასების ეტაპი მიმდინარეობდა სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში. შერჩევის პროცედურა მოიცავდა 4 ეტაპს. პროექტში მონაწილებაზე სურვილი გამოხატა 501-მა ახალგაზრდამ.

შერჩევის ეტაპები:

I ეტაპი - განაცხადების გარდარჩევა;
II ეტაპი - ინტელექტის ტესტი ტესტირება;
III ეტაპი - ინგლისური ენის ტესტი;
IV ეტაპი - გასაუბრება;

შერჩევის ეტაპში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა დარგის ექსპეტები, ხოლო ინგლისური ენის ცოდნის დონე შეაფასა „British Council”-მა Aptis-ის ტესტით.

ცხრილ N3-ში წარმოდგენილია თითოეულ ეტაპებზე გადასული აპლიკანტების რაოდენობა.



ცხრილი N3

სასწავლო პროგრამა 14 ოქტომბერს დაიწყო და კონკურსის წესით შერჩეულმა მონაწილეებმა გაიარეს ინტენსიური გადამზადების კურსის I ეტაპი, რომელიც გაგრძელდა 3 თვის ვადით (ოქტომბერი-დეკემბერი). პირველი ეტაპის სამთვიანი სასწავლო პროგრამა მოიცავდა 44 დღეს - 308 საკონტაქტო საათს. გარდა ტრენინგებისა, პროგრამა დამატებით გაჯერებული იყო გასვლითი ტრენინგებითა და საჯარო ლექციებით (იხ. დანართი N1).

ოქტომბერი

პროექტის პირველი ეტაპი დაიწყო **გუნდის ფორმირების** პროგრამით, რომელიც ჩატარდა ყვარლის სასწავლო ცენტრში 14,15,16 ოქტომბერს (3 დღე). ტრენინგის მიზანი იყო წარმატებულ კანდიდატთა გუნდის განვითარება, ადაპტაციისა და მომავალი ერთობლივი მუშაობისათვის.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის თბილისის ოფისში, პროექტის მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგი **საჯარო სამსახურის სისტემა** და **სამართალმცოდნეობის შესავალში**. ტრენინგების ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ საჯარო სამსახურის ძირითად ცნებებსა, კატეგორიებს და ინსტიტუტებს.

ქოუჩინგ-პროგრამის - „მომავლის არქიტექტორი“ ფარგლებში, განხორციელდა კიდევ ერთი ვიზიტი იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსში. აღნიშნული პროგრამის მიზანი იყო პროექტში მონაწილე ახალგაზრდების პიროვნული განვითარების ახალ საფეხურზე გადაყვანა. (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1. ოქტომბრის თვეში განხორციელებული კურსები

ოქტომბერი		
№	ტრენინგის თემა	ტრენინგის დღეები
1	გუნდის ფორმირების პროგრამა (ყვარელი)	3
2	ქოუჩინგის პროგრამა (ყვარელი)	3
3	**საჯარო სამსახურის სისტემა**	2
4	**I მოდული:** სამართალმცოდნეობის შესავალი (ძირითადი ცნებები/ინსტიტუტები/პრინციპები)	2
სულ:		**10**

ნოემბერი

ნოემბერში, მონაწილეებმა გაიარეს **კომუნიკაციის მართვისა** და **პრეზენ-ტაციული უნარების** ტრენინგები. ტრენინგების მიზანს წარმოადგენდა მონაწილეებისთვის ეფექტიანი კომუნიკაციისთვისა და პრეზენტაციისთვის საჭირო უნარების განვითარება/გაუმჯობესება.

ასევე, ნოემბერში პროგრამა დატვირთული იყო იურიდიული მიმართულების ტრენინგებით: სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონირების გააზრების მიზნით, ასევე სამართლის ძირითად დარგებს შორის მსგავსება-განსხვავების უკეთ შესწავლისთვის მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგები - **კონსტიტუციურ ორგანოთა სისტემა, სისხლის სამართლისა** და **სამოქალაქო სამართლის საფუძვლები**.

16-19 ნოემბერს, ჩატარდა ოთხდღიანი **ლიდერობის მასტერკლასი** სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსში. ინტენსიური პროგრამა ემსახურებოდა მონაწილეთა ლიდერული უნარების განვითარებას.

დასაქმებისა და განვითარების კომპანია „Mindstream“-მა, უზრუნველყო NLP ლიდერობის მასტერკლასის ორგანიზება. მასტერკლასი ჩაატარა რადუ სეუკემ - ნეირო ლინგვისტური პროგრამირების ამერიკული საბჭოს სერტიფიცირებულმა ტრენერმა, რომელიც არის მასტერ ქოუჩი და მასტერ პრაქტიკოსი, ამასთანავე ბელგიური კომპანია Wide Circle-ის სწავლებისა და ლიდერობის განვითარების დირექტორი. (იხ. ცხრილი N2.)

ცხრილი N1. ოქტომბრის თვეში განხორციელებული კურსები

ნოემბერი		
№	ტრენინგის თემა	ტრენინგის დღეები
1	კომუნიკაციის მართვა	5
2	პრეზენტაციული უნარები	2
3	ლიდერობის მასტერკლასი (ყვარელი)	4
4	**II მოდული:** საქართველოს კონსტიტუციურ ორგანოთა სისტემა	2
5	**IV მოდული:** სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები	2
6	**V მოდული:** სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები	2
სულ:		**17**

დეკემბერი

დეკემბერში, სოციალური უნარების მიმართულებით ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: **ემოციური ინტელექტის განვითარება და დროის მართვა,** ასევე **კონფლიქტისა** და **სტრესის მართვა**. გარდა ამისა, მონაწილეებს ჩაუტარდათ საჯარო გამოსვლის ტრენინგი. მონაწილეებმა იმუშავეს მედიასთან ურთიერთობის ძირითადი პარამეტრების განსაზღვრასა და პერსონალურ ბრენდინგზე.

დეკემბერში ჩატარდა **პროექტების მართვის** ტრენინგი, რომელიც მოიცავდა როგორც თეორიულ სწავლებას, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. ტრენინ-გის ფარგლებში მონაწილეებმა შეიმუშავეს და პროექტის სახით მოამზადეს საპროექტო წინადადებები.

ეფექტიანი მომსახურების ძირითადი პრინციპებისა და სტანდარტების გაცნობის, მომსახურების პროცესში შექმნილი რთული სიტუაციების მართვის უნარების გაუჯობესების მიზნით, პროექტის მონაწილეებს ჩაუტარდათ **მომსახურების მართვის** ტრენინგი. თეორიულ მასალასთან ერთად, ტრენინგის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ დაკვირვებოდნენ მომსახურების პროცესს იუსტიციის სახლში. მოეწყო ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც, მონაწილეები გაეცნენ იუსტიციის სახლის სამუშაო გარემოსა და სერვისებს, უშუალოდ იუსტიციის სახლის თანამშრომლებისაგან.

იურიდიული მიმართულებით მონაწილეებს ჩაუტარდათ **ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლების** ტრენინგი, რომელიც ემსახურებოდა ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი ცნებების, ინსტიტუტების და პრინციპების გაგებასა, გააზრებას და პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას(იხ. ცხრილი N3.).

ცხრილი N3. დეკემბრის თვეში განხორციელებული კურსები

ნოემბერი		
№	ტრენინგის თემა	ტრენინგის დღეები
1	მომსახურების მართვა საჯარო სამსახურებში	1
2	საჯარო გამოსვლა	1
3	სტრესის მართვა	2
4	დროის მართვა	2
5	პროექტის მართვა	3
6	კონფლიქტის მართვა და მოლაპარაკების წარმოება	1
7	ემოციური ინტელექტის განვითარება	2
8	**III მოდული:** ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ზოგადი მიმოხილვა	2
9	**VI მოდული:** ზოგადი ადმინისტრაციული სამართალის ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები	3
სულ:		**17**

საჯარო ლექცია №1

მომხსენებელი:
თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი

საჯარო ლექციის სახელწოდება:
ქართული სახელმწიფო - დემოკრატიული მშენებლობის გრძელი გზა და დღევანდელი გამოწვევები

2015 წლის 16 ოქტომბერს, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსში პროექტის – „50 საჯარო მოხელე“, გახსნით ღონისძიებას დაესწრო. მინისტრმა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესისა და საქართველოს გამოწვევების შესახებ პროექტის მონაწილეებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა.

შეხვედრისას საუბარი შეეხო იმ მნიშვნელოვან რეფორმებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია ქვეყანაში მმართველობის ევროპული სტანდარტებს მისაღწევად.

ახალგაზრდებთან შეხვედრას სასწავლო ცენტრის დირექტორი ნუგზარ კაკულია და პროექტის სამუშაო ჯგუფის წევრები ესწრებოდნენ. პროექტში მონაწილეები ყვარლის სასწავლო ცენტრში სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ. მათ ჩაუტარდათ სპეციალური სწავლება/ტრენინგი, რომლებიც ხელს უწყობს გუნდურად მუშაობის უნარების განვითარებას.

საჯარო ლექცია №2

მომხსენებელი:
მიხეილ გიორგაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

საჯარო ლექციის სახელწოდება:
კულტურის სტრატეგია საქართველოში

2015 წლის 26 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე - „კულტურის სტრატეგია საქართველოში“.

კულტურის მინისტრი ახალგაზრდებს ესაუბრა, კულტურის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის პროცესზე და გააცნო მათ, თუ რა ღირებულებებს ეყრდნობა სტრატეგიის დოკუმენტი, როგორ წარმოაჩენს ის კულტურის როლს ქვეყანაში.

ლექციის დასადრულს, მიხეილ გიორგაძემ, ახალგაზრდების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

საჯარო ლექცია №3

მომხსენებელი:
ლევან გიგინეიშვილი, ფილოლოგი, რომელიც დღეისათვის ეწევა აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას

საჯარო ლექციის სახელწოდება:
ადამიანის როლი სახელმწიფოში

2015 წლის 1 დეკემბერს, ლევან გიგინეიშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „ადამიანის როლი სახელმწიფოში“.

საჯარო ლექციაზე საუბარი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთდამოკიდებულება, პიროვნების პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მიმართ და საქრთველოს მიერ განვლილ გზას დემოკრატიული განვითარების კუთხით. ლექციის ძირითადი ნაწილი კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

საჯარო ლექცია №3

მომხსენებელი:
სოსო ფხაკაძე, კომპანია "ვისოლ ჯგუფის" პრეზიდენტი

საჯარო ლექციის სახელწოდება:
სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობა

2015 წლის 8 დეკემბერს, სოსო ფხაკაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობა“

სოსო ფხაკაძის შეფასებით, ეფექტური, თანამედროვე აზროვნების მქონე სახელმწიფო მოხელე, ქვეყნის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მისივე განცხადებით, პროექტში მონაწილე ახალგაზრდები ენთუზიაზმით, შემართებით, ჩამოყალიბებული აზროვნებით გამოირჩევიან, რაც აძლიერებს განცდას, რომ მომავალში, როდესაც ისინი საჯარო სამსახურში დასაქ-მდებიან, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის კიდევ უფრო მეტად ეფექტური და სწორი კომუნიკაცია იქნება, რაც ქვეყანას ძალიან დიდ სიკეთეს და სარგებელს მოუტანს.

დანართი N1. სასწავლო პროგრამა - I ეტაპი

უნიკალური და კომპლექსური სასწავლო პროგრამა მოიცავდა ტრენინგებსა და სხვა სახის სასწავლო/საგანმანათლებლო აქტივობებს. პირველი ეტაპის განმავლობაში მონაწილეებმა უკვე გაიარეს:

პიროვნული განვითარების შემდეგი ტრენინგები:	პროფესიული განვითარების ტრენინგები:	საჯარო ლექციები:	სხვა:
» კომუნიკაციის მართვა » საჯარო გამოსვლა და პრეზენტაციული უნარები » სტრესის მართვა » დროის მართვა » პროექტების მართვა » კონფლიქტის მართვა და მოლაპარაკების წარმოება » ემოციური ინტელექტის განვითარება » მომსახურების მართვა საჯარო სამსახურებში	» საჯარო სამსახურის სისტემა » სამართლის საფუძვლები (ძირითადი ცნებები/ინსტიტუტები/ პრინციპები) » საქართველოს კონსტიტუციურ ორგანოთა სისტემა » ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ზოგადი მიმოხილვა » სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები » სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები » ზოგადი ადმინისტრაციული სამართალის ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები	» თეა წულუკიანი - „ ქართული სახელმწიფო - დემოკრატიული მშენებლობის გრძელი გზა და დღევანდელი გამოწვევები » მიხეილ გიორგაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - „კულტურის სტრატეგია საქართველოში“ » ლევან გიგინეიშვილი - „ ადამიანის როლი სახელმწიფოში“ » სოსო ფხაკაძე - „სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობა“	**გუნდის ფორმირების პროგრამა:** კურსი დაიწყო გუნდის ფორმირების პროგრამით ყვარლის კომპლექსში: გუნდის ფორმირების პროგრამამ ხელი შეუწყო წარმატებული ახალგაზრდების გუნდის შეკვრას, გუნდში კეთილგანწყობილი კლიმატის შექმნას, გუნდის წევრებს შორის მიმღებლობის გაზრდას და პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებას, ასევე, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას. რაც მთავარია, წარმატებულ კანდიდატთა გუნდის განვითარება. **ქოუჩინგისა პროგრამა:** რომელსაც ერიქსონის საერთაშორისო უნივერსიტეტის სერტიფიცირებული ქოუჩი, თინათინ რუხაძე გაუძღვა. **ლიდერობის მასტერკლასი:** რომელიც ნეორო ლინგვისტური პროგრამირების ამერიკული საბჭოს სერტიფიცირებულმა ტრენერმა და მასტერ პრაქტიკოსმა - რადუ სეუკემ ჩაატარა.

სასწავლო პროცესში ჩართულნი იყვნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები, პროფესიონალები, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დონეზე. პროექტის პირველი ეტაპი (3 თვე) დასრულდა 28 დეკემბერს.

პროექტის ,,50 საჯარო მოხელე“ I ეტაპის შეფასება

პროექტის პირველი ეტაპის (ოქტომბერი-დეკემბერი) ბოლოს, განხორციელდა პროექტის შემაჯამებელი შუალედური შეფასება, რომლის შედეგებიც წარმოდგენილია მოცემულ დოკუმენტში. პროექტის შეფასების მიზნით, შემუშავებული კონფიდენციალური ელექტრონული კითხვარი შეავსო 48 მონაწილემ (98%).

I ნაწილი: მონაწილეთა თვითშეფასება (შეფასება განხორციელდა ათქულიან სკალაზე)

ცოდნა	საშუალო შეფასება
პროექტის დაწყებამდე (ტრენინგების ჩატარებამდე)	4.27
პროექტის პირველი ეტაპის ბოლოს (ტრენინგების გავლის შემდეგ)	8.5
უნარები	
პროექტის დაწყებამდე (ტრენინგების ჩატარებამდე)	4.48
პროექტის პირველი ეტაპის ბოლოს (ტრენინგების გავლის შემდეგ)	8.48

დიაგრამა N1. მონაწილეთა თვითშეფასება



დასკვნა: მონაწილეთა თვითშეფასების გათვალისწინებით, მათი ცოდნა და უნარები პროექტის პირველი ეტაპის ბოლოს 4 ერთეულით გაუმჯობესდა

II ნაწილი: პროექტის პირველი ეტაპისადმი მონაწილეთა ზოგადი დამოკიდებულება

პროექტისადმი დამოკიდებულება	სიხშირე/პროცენტი
კმაყოფილი	100 % (48 მონაწილე)
ნეიტრალური	0 %
უკმაყოფილი	0 %

პროექტის წარმატების შეფასების კრიტერიუმები

I ეტაპის შეფასება

კრიტერიუმები (KPI)	რეალური შედეგი
1. პრე-პოსტ შეფასებების ანალიზი აჩვენებს პროგრესს, სულ მცირე, 3 ერთეულით	**3.2 ერთეული**
2. მონაწილეთა ცოდნისა და უნარების განვითარების ხარისხის თვითშეფასება აჩვენებს პროგრესს, სულ მცირე, 3 ერთეულით	**4.1 ერთეული**
3. მონაწილეთა, სულ მცირე, 80%-ის მიერ გადალახულია საგამოცდო ბარიერი	**100%**
4. მონაწილეთა მიერ პროექტის შეფასების უკუკავშირის ანალიზი პოზიტიურია (სულ მცირე, 80% კმაყოფილი)	**100%**

დასკვნა: პირველი ეტაპის შეფასების გათვალისწინებით, პროექტი პასუხობს წინასწარ-განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ, განხოციელებული აქტივობები:

- პროექტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა **52 835 ახალგაზრდას.**
- **პროექტის ფარგლებში გახორციელდა შემდეგი საკომუნიკაციო აქტივობები:** სოციალურ მედიაში (FB- გვრდი) PR- კამპანიის დაგეგვმა და განხორციელება.

- განთავსდა სტატია მარკეტერზე
http://tcj.gov.ge/project/act/about/

- პროექტისთვის საჭირო მასალების ბრენდირება. მომზადდა, საინფორ-მაციო ბუკლეტი.

- განხორციელდა პროექტის პრეზენტაცია (ღია კარის დღე), რომელიც გაშუქდა ტელევიზიით: 1არხი, რუსთავი-2

- დამზადდა 45 წამიანი ვიდეორგოლი და ჩაეშვა სატელევიზიო სივრცეში.

იხ. ბმული https://www.youtube.com/watch?v=GKCvHURlWoc

- პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება სამიზნე ჯგუფისთვის (09.09.2015 TV- ერთსულოვნება, გადაცემა შუა დღე).

- ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის, 14.09.2015 ტელე ეთერი "შუადღე GDS-ზე" საშუალებით.

- პროექტის ხელმძღვანელისა და პრექტის მონაწილეების მიერ, პირველი ეტაპის შემაჯამებელი ანგარიში მაესტროს საქმიანი დილაში.

- განხორციელდა პარა-კალათბურთის პოპულარიზაციის მხარდასაჭერი მატჩი, პროექტში მონაწილე ახალგაზრდების ჩართულობით.

www.tcj.gov.ge